საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №27
2025 წლის 26 დეკემბერი

ქ. საჩხერე

„საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 21 დეკემბრის №20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შეტანილ იქნას ცვლილება, ,,საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 21 დეკემბრის №20 დადგენილებაში (სსმ ვებგვერდი 22/12/2021 წ. სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.130.016410) და დადგენილებით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2026 წლის 1 იანვრიდან.

საჩხერის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **ირაკლი ჩხიკვაძე**

დანართი

საჩხერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის პროფესიულ საჯარო მოხელეთა საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოები

№	თანამდებობის დასახელება	რანგი	თანამდებობრივი სარგო	საშტატო რიცხოვნობა
საკრებულოს თანამდებობის პირები				
1	საკრებულოს თავმჯდომარე		6655	1
2	საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე		5057	1
3	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე		4392	2
4	საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე		3593	5
5	საკრებულო სფრაქციის თავმჯდომარე		3260	2
6	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე		2594	8
საკრებულოს აპარატი				
1	ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი – პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, საკრებულოს აპარატის უფროსი	1	3200	1

2	საკრებულოს აპარატის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი კორესპონდენციებზე მუშაობის საკითხებში	3	2240	1
3	საკრებულოს აპარატის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი გენდერული თანასწორობის საკითხებში	3	2240	1
4	საკრებულოს აპარატის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფისა და აღრიცხვის საკითხებში	3	2240	1
5	საკრებულოს აპარატის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში	3	2240	2
6	საკრებულოს აპარატის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საორგანიზაციო მართვის საკითხებში	3	2240	1
7	საკრებულოს აპარატის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი სამართლებრივ აქტებზე მუშაობის საკითხებში	3	2240	1
8	საკრებულოს აპარატის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი კორესპონდენციებზე მუშაობისა და ადამიანური რესურსების მართვის საკითხებში	3	2240	1
9	საკრებულოს აპარატის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საინფორმაციო ანალიტიკური და კომუნიკაციებით უზრუნველყოფის საკითხებში	3	2240	1
10	საკრებულოს აპარატის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში	3	2240	1